



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 55
10/08/2018

55-06-4-201808101712



განკარგულება №55
10 აგვისტო 2018 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის განთავსების რეგულირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 46-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1.

სააგიტაციო მასალის განთავსება აიკრძალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ: საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, პოლიციის შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე განთავსება/გაკვრა.

მუხლი 2.

განისაზღვროს ადგილები სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად (დანართი თან ერთვის).

მუხლი 3.

ამ განკარგულების მე-2 მუხლით განსაზღვრულ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ობიექტების გარდა, სააგიტაციო მასალა შეიძლება გამოიფინოს სხვა ობიექტებზეც, მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.

მუხლი 4.

ამ განკარგულების თანდართულ დანართში გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილებით.

მუხლი 5.

დაევალოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს სააგიტაციო მასალის განთავსებისათვის გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაცია გამოაქვეყნოს ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოებში და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

მუხლი 6.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ.№14).

მუხლი 7.

განკარგულება ძალაშია 2018 წლის საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის დღიდან.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

